ეროვნული ბიბლიოთეკა

7 სექტემბერს: 4 ოქრო:

- ნ. ჩიქოვა — ბირთვის კვრა
- ა. ბონდარჩუკი — უროს ჭყორცნა
- სსრ კავშირის ნაკრები — ცხენის გაწვრთნა
- სსრ კავშირის ნაკრები (ქალები) — ფრენბურთი

München -72

მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 179 (4689)

1972 წ. 9 სექტემბერი, შაბათი. ფასი 4 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„საბჭოთა მტყორცნელების დღე“

სწორედ ასე შეიძლება ვუწოდოთ 7 სექტემბერს: მთავარი ოლიმპიური სტადიონის სარბიელზე ორჯერ გაისმა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. თანაც, საბჭოთა მძლეოსნების გამარჯვებები მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდებით იყო დამშვენებული.

... ჩიჟოვა ცხე მშვიდად ცსვამდა ხელებზე მაგნეზიას, თითქოს მისგან ათი ნაბიჯის დაშორებით მრავალრიცხოვანი ოლიმპიური აუდიტორია არ გარინდულიყო და ფოტო- და კინოკამერების ათასობით ობიექტივი არ დაემიზნებინათ მისთვის. ლენინგრადელი სპორტსმენის სიმშვიდე მართლაც გასაოცარი გახლდათ: მას ხომ უმაღლესი ოლიმპიური ჯილდოსათვის უნდა ებრძოლა, ერთადერთი ოქროს მედლისთვის, რომელიც ჯერ არ იყო ჩიჟოვას მდიდარ კოლექციაში.

მერე იგი თეთრ წრეში შევიდა და წუთიც არ იყო გასული, რომ 20-მეტრიან ზღვართან მდგარი მსაჯები თანწარყავებივით უკან გადახტნენ — ბუჟის შავი ბირთვი მწვანე გახოხში სწორედ მათს ფეხებთან დავარდა. მძლეოსნობის ისტორიაში ქალის ხელმა პირველად გაგზავნა ოთხკილოგრამიანი „ბურთი“ 21 მეტრს იქით, უფრო ზუსტად კი — 21,03 მეტრზე. ამიერიდან ასეთია მსოფლიო რეკორდი, მსოფლიო რეკორდებს კი 1969 წლიდან შეუცვლელად ფლობს ჩიჟოვა.

საბჭოთა სპორტსმენის შედეგმა ეჭვი გააცხუნა მეტოქეები. მხოლოდ მეცხრეს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ლაიპციგელმა ფიზკულტურის მასწავლებელმა ვ. გუნელმა შეძლო მღელვარების დაძლევა და მეოთხე ცდაზე ბირთვი 20,22 მეტრზე ჰკრა, რაც მხოლოდ გდრ-ის რეკორდი აღმოჩნდა.

შეჯიბრების შემდეგ ჩიჟოვას გამარჯვება პირველმა გუმელმა მიულოცა. მერე ისინი ასევე მხურვალედ და მეგობრულად ულოცავდნენ ბრინჯაოს ლაურეატობას ბულგარელ ი. ბრისტოვას, ჩიჟოვას მსგავსად დღევანდელმა მეორე „მედლეობემ“, კიეველმა ა. ბონდარჩუკმა ასევე პირველ ცდაზე მაღლწია გამარჯვებას — ურო 75,50 მეტრზე ტყორცნა (ოლიმპიური რეკორდი).

ბონდარჩუკი შემდეგაც ყველაზე შორს ტყორცნიდა ამ იარაღს, 75-მეტრიან ზღვარს „ბომბავდა“. ევროპის ჩემპიონის უ. ბაიერისა (გდრ) და მისი ახალგაზრდა თანამემამულე ე. ცელაინის მოწადინება ამაო გამოდგა. სანუკვარ ზღვარს ბოლო ცდების დროს მხოლოდ ორი ათლეტი მიუახლოვდა: გდრ-ის რეკორდსმენი ი. საჭსე (74,96) და საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი, 25 წლის სტავროპოლელი ვ. ხმელევსკი (74,04).

ამრიგად, პრიზიორთა შორის ორი საბჭოთა სპორტსმენია — ოქროსა და ბრინჯაოს ლაურეატები. ასეთი წარმატებისთვის ჩვენს უროს ტყორცნელებს ოლიმპიადებში არასდროს მიუღწევიათ.

გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი საპატიო კვარცხლბეკის სიმტკიცის ნამდვილი გამოცდა გამოდგა: პრიზიორთა წონა დაახლოებით 350 კგ იყო!

თავიანთ ყულაბას გდრ-ის მძლეოსნებმა დღეს ორი ოქროს მედალი დაუმატეს: 200 მეტრზე ფინალური გარბენი მოიგო იენელმა სტუდენტმა ჩ. შტეკერმა — 22,4 (მსოფლიო რეკორდის გამეორება), ხოლო 400-მეტრიან მანძილზე ყველას აჯობა 19 წლის ბერლინელმა მოსწავლემ მონიკა ცერტმა. მისი დრო — 51,1 წამი — ოლიმპიური რეკორდია.

200 მეტრზე რბენაში 8 ფინალისტს ნ. ბესფამილნაია წამის მეასედმა დააშორა, რომელიც მან ნახევარფინალურ გარბენში წააგო — 23,3. ს. სიდოროვა კი ნახევარფინალში მეშვიდე იყო — 23,4.

ორი ოქრო ხვდათ ხანგ მორპენლებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან: ვ. მეტიუზმა 400 მ 44,7 წ.-ში გაირბინა, ხოლო რ. მილბერნმა 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 13,2. 400 მეტრზე რბენაში საბჭოთა სპორტსმენები საერთოდ არ მონაწილეობდნენ, თარჯრბენში კი ნახევარფინალამდე გამოეთიშნენ ბრძოლას.

სამი საბჭოთა სტაიერიდან მხოლოდ ერთმა — ნ. სვირიდოვმა მოიპოვა 5 კილომეტრზე ფინალურ გარბენში გამოსვლის უფლება — 13.38,4. ვ. აფონინი და ნ. პუკლაკოვი ბრძოლას წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ გამოეთიშნენ.

5000 მეტრზე ერთ-ერთ გარბენში ოლიმპიური რეკორდი დაამყარა ბელგიელმა ე. პუტემანსმა — 13.31,8.

კრასნოდარელი ლ. ბრაგინა შეუპოვრად უტევს მსოფლიო რეკორდს 1500-მეტრიან დისტანციაზე. დღევანდელ ნახევარფინალურ გარბენში მან 1,4 წამი ჩამოაჭრა ამ ორიოდე დღის წინათ აქვე დამყარებულ თავისივე მსოფლიო რეკორდს. ამჯერად ბრაგინას შედეგია 4.05,1.

ათჯიდელთა შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ ლიდერობს ი. კირსტი (გდრ). II ადგილზეა საბჭოთა მძლეოსანი ნ. ავილოვი.

ზ. ბუჩოვცევი.

(საკუთარი სპეც. კორ.).

მიუნხენი, 7 სექტემბერი.

• • •

სურათებზე: ნ. ჩიჟოვა მსოფლიო რეკორდის დამყარების დროს; ლ. ბრაგინა (№ 385) 1500 მეტრზე ნახევარფინალურ გარბენში ახპარეზობისას; უროს მტყორცნელთა საპრიზო სამეული საპატიო კვარცხლბეკზე — მარცხნიდან: ი. საჭსე, ა. ბონდარჩუკი და ვ. ხმელევსკი.

(მიუნხენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საკინფორმმა).

ჩემპიონები ჩემპიონებად რჩებიან

სსრ კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელ ქალთა მორიგი პრინციპული პაექრობა, რომელიც ამჯერად მიუნხენის ოლიმპიურ სარბიელზე გაიმართა, კვლავ ფრენბურთის საბჭოური სკოლის სასარგებლოდ დამთავრდა — 3:2 (15:11, 4:15, 15:11, 9:15, 15:11).

ამ დარბაზში გამართული მათი შეხვედრები სხვა მეტოქეებთან, კაცმა რომ თქვას, სათვალავში არც შეჰყიდა. ყველა მოუთმენლად ელოდა მთავარ ბრძოლას — ფინალურ შეხვედრას. ამიტომაც იყო დღეს საღამოს ხალხით გაჭედილი ტრიბუნები და ჩვეულებრივ სანახევროდ ცარიელ პრესის ლოჟაშიც ნემსი არ ჩავარდებოდა.

ოქროსთვის ბრძოლა მეტისმეტად დაძაბული გამოდგა. ისიც უნდა ითქვას, რომ იაპონიის ნაკრების თავდამსხმელები დროდადრო უტემპოდ, მოულოდნელი კომბინაციების გარეშე მოქმედებდნენ. მეტოქემ მხოლოდ დაცვაში ითამაშა თავიდან ბოლომდე ძალიან საინტერესოდ და ოსტატურად.

სად გაქრა ცნობილი „იაპონური ტაიფუნი“, რომელიც მუდამ შიშის ზარს სცემს მეტოქეებს? ამ „ტაიფუნმა“ დღევანდლეც მატჩშიც რამდენიმეჯერ გაიღვიძა და საბჭოთა სპორტსმენებს წალეკვით ემუქრებოდა. მაგალითად, მეოთხე პარტიაში, როცა ანგარიში 9:5 იყო საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ, იაპონელებმა ზედიზედ 10 ქულა მოიგეს. განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა იაპონელთა თავდასხმის ლიდერმა შირაიმ (№ 12). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარტიის წაგება საბჭოთა მწვრთნელების წამიერმა დაბნეულობამაც გამოიწვია: გადამწყვეტ მომენტში მათ წინა ხაზზე მყვეთი ტრეტიაკოვა და გონობობლევა დატოვეს და მხოლოდ ერთი თავდამხმელი — სმოლეევა.

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის ნაკრების შემტევი პოტენციალი ამჯერად სრულად არ გამოვლინდა. მუდამ წარმატებით რიდი აგვირგვინებდა კომბინაციებს იერიშის ლიდერი რისკალი. გაცილებით უკეთესად მოქმედებდნენ გუნდის ყველაზე მაღალი წევრები დუიუნოვა და ტიურინა, რომლებიც ბურთს მეტოქის მოედნის დაუცველ ადგილებში გზავნიდნენ.

ასეა თუ ისე, სპორტსმენებისთვის ოლიმპიურ გამარჯვებაზე ძვირფასი არაფერია, მით უმეტეს, თუ ეს ზედიზედ მეორე გამარჯვებაა. საბჭოთა ფრენბურთელი ქალები ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან, მოზღვავებულ გრძნობებისგან ცრემლს ვერ იკავებენ.

იაპონელები კი მოწყენილი დგანან. ეს სევდა მარტო ამ წაგებით რომ გამოწვეულიყო: ამ შესანიშნავ სპორტსმენებს ერთმანეთთან დაშორება მოუხდებათ, ვინაიდან მათი პატრონი — საფეიქრო ფირმა „უნიტიკო“ ეკონომიის მიზნით გუნდის დაშლას აპირებს. ოლიმპიური მედლები ალბათ ამ გეგმას საფუძველს შეურყევდა...

• • •

ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა სამხრეთ კორეის გუნდს სძლია — 3:0 (15:7, 15:9, 15:9).

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უნგრეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები.

ა. სტაროდუბი.

(საკუთარი სპეც. კორ.).

მიუნხენი, 7 სექტემბერი.

ჯუჯუნ...

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნებმა ორი მედალი მოიგეს 100 მეტრზე თარჯრბენში. გაიმარჯვა ანელიზე ერჰარდმა — 12,59. II ადგილზეა ვალერია ბუფანუ (რუმინეთი) — 12,84, III — კარინ ბალცერი — 12,9.

საბჭოთა აეროსანმა ვალენტინ მანკინმა ოქროს მედალი მოიპოვა „ტეპვესტის“ კლასის იახტებით ასპარეზობაში.

ავსტრალიელი აეროსანი დევიდ ფორბესი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა „ჯერსკვლავის“ კლასში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

დღე მეცამეტე

მიუნჰენი, 7 სექტემბერი. ინგლისური პარკის მზით განათებულ ვეებერთელა მდელოზე XX საუკუნის რობინ ჰუდები გამოვიდნენ — 50 წელიწადს „შესვენების“ შემდეგ მშვილდოსნობა ოლიმპიურ სარბიელს დაუბრუნდა. ოთხი დღის განმავლობაში იბრძოლებენ მშვილდოსანი ქალები და ვაჟები ჯილდოების ორი კომპლექტისთვის. შეჯიბრების ყოველი მონაწილე 288-ჯერ მოზიდავს მკვრივ ლარს...

ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ ქალთა შორის დაწინაურდა პოლონელი ი. შიდლოვსკა — 605 ქულა. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ე. გაპჩენკო (სსრ კავშირი) ჯერჯერობით II ადგილზეა — ლიდერს 14 ქულით ჩამორჩება. ევროპის ჩემპიონს, ქუთაისელ ქ. ლოსაბერიძეს მეხუთე შედეგი აქვს (580 ქულა), ა. პეუნოვა კი მეთორმეტეა (570).

ვაჟთა შეჯიბრებაში წინ გაიწია მსოფლიო ჩემპიონი, 18 წლის ამერიკელი ჯ. უილიამსი — 608 ქულა. საბჭოთა მშვილდოსნებს ასეთი შედეგები აქვთ: V ადგილი — მ. პეუნოვი (574), VII — მ. ვაიკიარვი (570), XIX — ევროპის 1970 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ვ. სიდორუკი (557).

კიდევ ორი საბჭოთა მოკრივე გამოეთიშა ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლას: ვ. ივანოვი (48 კგ-მდე) ქულებით დამარცხდა უნგრელ დ. გედოსთან, ხოლო ნ. ანფიმოვი (81 კგ-მდე) ასევე ქულებით — ნიგერიელ ი. იკხოურიასთან.

მეორე წრის შეხვედრებში წარმატებით იჭიდავეს საბჭოთა „კლასიკოსებმა“ შ. ხისამუტდინოვმა, ჯ. მეგრელიშვილმა, ნ. იაკოვენკომ, ვ. რეზანცევმა, ა. ნაზარენკომ და ა. როშჩინმა. ვ. იგუმენოვი და რ. კაზაკოვი დამარცხდნენ.

წინასწარ შეხვედრებში საბჭოთა რაპირისტი ქალების გუნდმა დაამარცხა ავსტრიის (14:2), კუბისა (11:5) და უნგრეთის (9:4) ნაკრები კოლექტივები.

გამოვლინდნენ სსრ კავშირის ფრენბურთელი ვაჟების მეტოქენი ნახევარფინალურ შეხვედრაში. ესენი არიან გდრ-ის წარმომადგენლები, რომლებმაც რუმინელებს სძლიეს — 3:0. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ბულგარელები და იაპონელები.

ჰოლანდიელი ველოსიპედისტი, 23 წლის ტექნიკოსი-კონსტრუქტორი ჰ. კუიპერი, 182,4 კილომეტრზე ინდივიდუალური საგზატკეცილო რბოლის ფინიშამდე დაახლოებით 30 კმ რომ იყო დარჩენილი, მძლავრი ბიძგით გაექცა 15-კაციან ჯგუფს. მეტოქეებმა ბევრი იღონეს, მდევრების „მუშტიც“ შექმნეს, მაგრამ დაწინაურებულს ვერაფერი მოუხერხეს. ბოლო 100 მეტრი კუიპერმა გამარჯვების ნიშნად წაღმართული ხელებით განვლო.

საბჭოთა მრბოლელებს ამჯერად არ სწყალობდათ ბედი. ჯერ იყო და ვ. იარდის ველოსიპედის თვალი გაუფუჭდა. იარდიმ ტექნიკურ მანქანას სხვა ველოსიპედი გამოართვა, მერე გაკეთებულ თავის ველოსიპედზე გადაჯდა, მაგრამ ყოველივე ამაზე დაახლოებით 5 წუთი დაიხარჯა. ასეთი ჩამორჩენის ამოგება შეუძლებელი იყო და, მწვრთნელის ვ. კაპიტონოვის რჩევით, იარდიმ რბოლა მიატოვა. ფინიშამდე 45 კილომეტრი რომ იყო დარჩენილი, შეჯიბრება შეწყვიტა ი. ტრიფონოვმაც (ასეთივე ბედი ეწია კიდევ 85 მრბოლელს 163-დან). ვ. ლიხაჩოვი და ა. სტარკოვი ფინიშთან მეორე ჯგუფის შემადგენლობაში მივიდნენ — 4:17.13.

საბჭოთა კალათბურთელმა ვაჟებმა შეასრულეს თავიანთი „ტრადიციული მინიმუმი“ — ოლიმპიური ტურნირის ფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში მათ კუბის ნაკრებს სძლიეს — 67:61 (35:36). ფინალში ისინი ამერიკელებს შეხვდებიან, რომლებმაც მეორე ნახევარფინალურ მატჩში იოლად დაამარცხეს იტალიელები—68:38 (33:15).

* * *

კილში უჭარო ამინდის გამო არ შედგა „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში მოასპარეზე აფროსანთა უკანასკნელი, მეშვიდე რბოლა.

ჩემპიონები



სურათზე: ცხენის გაწვრთნაში ოლიმპიური ჩემპიონი — სსრ კავშირის გუნდი (მარცხნიდან) — ი. კალიტა, ე. პეტუშკოვა და ი. კიზიმოვი.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).



7 სექტემბერი

მძლეოსნობა. ბირთვის კვრა. ქალები.

1. ნადეჟდა ჩიჟოვა (სსრ კავშირი) — 21,03 მ (მსოფლიო რეკორდი); 2. მარგიტა გუმელი (გდრ) — 20,22; 3. ივანკა ხრისტოვა (ბულგარეთი) — 19,35; 4. ე. დოლქენკო — 19,24... 9. ა. ივანოვა (ორჯერ — სსრ კავშირი) — 18,28.

110 მეტრზე თარჯრბენი.

1. რონ მილბერნი (აშშ) — 13,2 (მსოფლიო რეკორდის გამეორება); 2. ჯი დატი (საფრანგეთი) — 13,34; 3. თომას პილი (აშშ) — 13,48.

200 მეტრზე რბენა. ქალები.

1. რენატა შტეჭერი (გდრ) — 22,4 (მსოფლიო რეკორდის გამეორება); 2. როლინ ბოილი (ავსტრალია) — 22,45; 3. ირენა შევინსკა (პოლონეთი) — 22,74.

400 მეტრზე რბენა. ვაჟები.

1. ვინსენტ მეტიუზი — 44,7; 2. ვეინ კოლეტი (ორივე — აშშ) — 44,8; 3. ჯულიუს სონვი (კენია) — 44,9.

400 მეტრზე რბენა. ქალები.

1. მონიკა ცერტი (გდრ) — 51,08 (რეკორდების ცხრილში შედიდი 51,1, რომელიც მსოფლიო მიდწევის გამეორებაა); 2. რიტა ვიოლდენი (გდრ) — 51,20; 3. კეტი ჰემონდი (აშშ) — 51,64.

ველოსპორტი. ინდივიდუალური საგზატკეცილო რბოლა 182,4 კილომეტრზე.

1. ჰენი კუიპერი (ჰოლანდია) — 4:14.38; 2. კევინ სეფტონი (ავსტრალია) — 4:15.04; 3. ხვიმ სუელმო (ესპანეთი) — 4:15.04.

ცხენის გაწვრთნა. გუნდური პირველობა.

1. სსრ კავშირი — 5095 ქულა; 2. გფრ — 5083; 3. შვეცია — 4849.

სულ ცოტა, ბრინჯაო...

ოლიმპიური ჯილდოებისთვის ბრძოლას ნახევარფინალში მხოლოდ ორი საბჭოთა მოკრივე განაგრძობს. ესენი არიან ბ. კუზნეცოვი და ვ. ლემეშევი, რომლებიც, სულ ცოტა, ბრინჯაოს მედლებს მიიღებენ.

4:1 — ასე გაიყო მსაჯთა ხმები კუზნეცოვის (57 კგ-მდე) სასარგებლოდ მეოთხეფინალში რუმინელ გ. პომეტკუსთან მისი შეხვედრის შემდეგ.

20 წლის ვ. ლემეშევი (75 კგ-მდე) იოლად გაუმკლავდა ნ. გურანს (თურქეთი). საბჭოთა მოკრივემ პირველი რაუნდის მიწურულს ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე, მეორე რაუნდის დასაწყისში ანალოგიური ვითარება გამეორდა და არბიტრმა ბრძოლა შეწყვიტა.

ა. ლევინსონი.

(საკდენის სპეც. კორ.).

მიუნჰენი, 7 სექტემბერი.

ისინი კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს

ომარ ფხაკაძემ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 7 წლის წინ მოიგო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრმა ვარსკვლავმა გაიელვა და უკვალოდ გაქრა მსოფლიო ველოსპორტის ლაბირინთებში. ვარსკვლავებს სპორტში საერთოდ არ უწერიათ დღე გრძელი.

მაგრამ ზოჯერ ვარსკვლავი არ ეწირჩილება ამ საყოველთაო კანონს. ეს, თუ შეიძლება ითქვას, ზევარსკვლავია, განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანი და გამძლე. იგი წლების მანძილზე ისე კაშკაშებს, რომ ოდნავადაც არ კარგავს ბრწყინვალებას.

ექვსი წლის წინ ფრანგმა სარინტერმა დანიელ მორელონმა იმარ ფხაკაძეს სან-სებასტიანში მიღებული კვერთხი ჩამოართვა. ჩამოართვა და აგერ უკვე რამდენი ხანია ერთგულად ატარებს მას მსოფლიოს სხვადასხვა velodromeზე. მორელონი განსაკუთრებული მოვლენაა სპორტში, თავისებური ზევარსკვლავი. 1966 წლის შემდეგ მან მარცხი არ იცის.

მაგრამ თვით მორელონიც, რა თქმა უნდა, არ არის ზეადამიანი და როცა მას მისივე მსგავსი დაუპირისპირდება, უსიამო გრძნობა აიტანს. მიუხედავად მორელონის ყველაზე მეტად ფხაკაძესთან შეხვედრა არ სურდა, ვინაიდან არავინ იცნობს ისე კარგად ქართველ სპორტსმენს, როგორც სპორტის გვირგვინოსანი.

ფხაკაძეს სან-სებასტიანის მერე აღარაფერი აქვს დასაკარგი. უფრო მეტიც, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ტალინის ტრეკზე ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ძლიერება, დიდი ყოყმანის შემდეგ დამატებითი გამოცდის შედეგად მოხვდა ნაკრებში.

ვიმეორებთ, ფხაკაძეს აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი და სწორედ ამიტომ იყო იგი აგრერიგად საშიში. ეს მორელონმა სხვებზე უწინ იგრძნო მიუნჰენში.

ოლიმპიადებში სან-სებასტიანის გმირს ბედი არ სწყალობს. 1964 წელს ტოკიოში იგი ახალბედა იყო და მხოლოდ ეცნობოდა მსოფლიოს მაშინდელ ვარსკვლავებს. მეხუთეში დავა სწორედ დანიელ მორელონთან ბრძოლით დასრულა ისე, რომ ბრინჯაოს მედლამდე ერთადერთი საფეხური დააკლდა. მიუნჰენში ომარი სახელოვანი ფრანგის პოტენციურ მეტოქედ ითვლებოდა, მაგრამ... სჯობს ვიგი დავიცვათ და გავყვეთ საბჭოთა ჩემპიონს მის ურთულეს ოლიმპიურ ბატალიებში.

წინასწარ სერიებში ბევრმა ტიტულოვანმა და უსახელო სპრინტერმა დაყარა ფარ-ხმალი. გამოეთიშა ბრძოლას მეორე საბჭოთა სპრინტერი ს. კრავცოვიც, რომელიც განთქმული წესის თანახმად მორელონს ფინალამდე არ უნდა შეხვედროდა. იგი ვერც შეხვდა მსოფლიო ჩემპიონს — ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთ პირველივე ეტაპზე დამარცხდა. ნახევარფინალისკენ გზა მხოლოდ ოთხმა ღირსეულმა გაიკვალა. ამ ოთხეულში ფხაკაძეც იყო.

ნახევარფინალი ქართველი სპრინტერისთვის საბედისწერო ზღურბლი აღმოჩნდა. იგი ავსტრალიელმა მ. ნიკოლსონმა ჩამოიტოვა ორ სერიაში. მორელონს ამჯერადაც გაუღიმა ბედმა, ყოველ შემთხვევაში, ფინალში მას ნანატრი მეტოქე ხვდა ახალგაზრდა ავსტრალიელის სახით.

ფხაკაძემ მაინც ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა. ბრინჯაოს ჯილდოსთვის გამართულ სამრაუნდიან სერიაში ორჯერ დაამარცხა ჰოლანდიელი კ. ბალკი და წვლილი შეიტანა საბჭოთა ოლიმპიელების საერთო წარმატებაში.

რევანში ოლიმპიურ დონეზე მორელონთან კვლავ არ შედგა. წლები კი მიდის. ფხაკაძე 28 წლისაა, სპორტული ოსტატობის დაღვინების პერიოდში გასულა. 28 წლისაა პარიზელთა კერპი მორელონიც. სპორტს ჯერ არც ერთი ანებებს თავს და არც მეორე. ამიტომაც ადვილი შესაძლებელია, რომ სულ მალე ამ ორი შესანიშნავი ველოსიპედისტის ცხოვრების გზები კვლავ ერთმანეთში გადაიხლართოს. ეს შესაძლოა გაისადგე მოხდეს მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში.

ომარ ფხაკაძემ ერთხელ საიდუმლოდ გაგვანდო: ველოსპორტს მხოლოდ მაშინ დავანებებ თავს, როცა მორელონს დიდ ოქროს მედალს წავართვნევო.

ვნახოთ...

ნ. ახვლედიანი.

ოლიმპიური მოზაიკა

აშშ-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდში ოთამაშობს შვიდი სპორტსმენი, რომელთა სიმაღლე 2 მეტრი და მეტია. მათ შორის „რეკორდსმენია“ ტ. ბარლესონი — 223 სმ.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა 50 კილომეტრზე სიარულში, დასავლეთგერმანელმა კანენბერგმა თავის ძირითად მეტოქესთან — საბჭოთა მძლეოსან სოლდატენკოსთან გამარჯვება ერთობ თავისებურად ახსნა: „სოლდატენკომ სიარულის ტემპი განსაზღვრა. ჩვენ ერთად მივდიოდით 35-ე კილომეტრამდე და ერთმანეთს ნიშნებითაც კი ველაპარაკებოდით. სოლდატენკოს ერთი სისუსტე აღმოაჩნდა: არ შეუძლია დისტანციაზე საკვები ტემპის დაუგდებლად მიიღოს. მე კი ეს შემიძლია...“

ოლიმპიური შეჯიბრებებიდან მოხსნილია ცხრა არბიტრი „უკმარი მომზადებისთვის“, როგორც ეს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი. სინამდვილეში კი არბიტრები მიკერძოებისთვის მოხსნეს.

აშშ-ს ძალოსანთა გუნდის წევრს პატერას (ბემძიმე წონა) ერთ-ერთი ამერიკელი მილიონერი ავტომობილისა და ავარკის ჩუქებას დაპირდა იმ პირობით, თუ ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა. ძლაბათ პატერას ძალიან სურდა მდიდრული საჩუქრის მიღება, მეტისმეტად მოიწადინა და უკვე მეორე მოძრაობაში — ატაცება... სული მიიღო.

ოლიმპიურ სოფელში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ „შავ ბაზარზე“ ერთბაშად დაეცა შეჯიბრებების ბილეთების ფასი, ვინაიდან ქორვაჭრებში ხმა გავარდა, თამაშებში არ გაიხსნებაო. ქორვაჭრები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ზღაპრულ ფასებს მოითხოვდნენ, ახლა ჩალის ფასად იძლეოდნენ ბილეთების სქელ დასტებს. როგორი იყო მათი სასოწარკვეთილება, როცა ოლიმპიადის განახლების ცხობა მოვიდა.

ოლიმპიადის შეფ-მწვრთნელი, 62 წლის ფრანც პაპერი ხელმძღვანელობს ბრიგადას, რომელშიც 12 მესტვრტე მსაჯი შედის. თავის დროზე პაპერს ურბენია მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან ჯ. ოუენსთან, ჯ. ტოლანთან, რ. მეტკალფთან ერთად. საინტერესოა, რომ გფრ-ის რეკორდი დახურულ შენობაში 50 მეტრზე რბენაში (5,4), რომელიც პაპერმა დაახლოებით ამ 40 წლის წინ დაამყარა, ჯერ კიდევ სელუსლებელია.

დასავლეთ გერმანიის რეაქციული პრესის „მეფის“ ა.-ც. შპრინგერის გაზეთები გდრ-ის შესახებ რომ წერენ, გერმანიის მიწაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სახელწოდებას ბრჭყალებში ათავსებენ. ასეთია ეს უმგვანო ტრადიცია, რომელიც თვით შპრინგერმა დააწესა. ვინ მოთვლის რამდენი ზედმეტი ლითონის დახარჯვა უხდებათ მათ: ოლიმპიურ თამაშებში ხომ დღეც არ გადის ისე, რომ სპორტიული კვარცხლბეკზე გდრ-ის წარმომადგენელი არ ავიდეს. ამ ფაქტს კი გვერდს ვერ აუვლიან. ბრჭყალებიც არ შეეწებებათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი-72

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

0:0

გუშინწინ მოსკოვში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი: „სპარტაკი" — ასკ.

ვერც მოსკოველებმა და ვერც როსტოველებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს და შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

ორი პენალტი ერთ თამაშში

I ლიგა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 7 სექტემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:1 (0:0).

„ტორპედო": კავაზაშვილი, მაზიაშვილი, პეტროვი, ფრიდმანი, ჭოხონელიძე (წვერავა, ჭოლაძე), ოქროპირაშვილი, ლენიოვი, მირონოვი, ფესტვენიძე (ვეკუა), ხერხაძე, ჯ. სილაგაძე.

„ჩერნომორეცი": ალტმანი, ნეჩაევი (ეგოროვი), ზუბკოვი, სირომიატნიკოვი, მოსკვიჩოვი, მასლოვი, ასიტაშვილი, ბოროვიკოვი, ბუტენკო, ზვენიგოროდსკი (ტომაშევსკი), შეპელი.

მსაჯი მ. ჩერდანცევი (ალმა-ათა).

დუბლიორები — 4:1 „ჩერნომორეცის" სასარგებლოდ.

ტორპედოელებმა სტუმრად ზედიზედ ორი მოგების შემდეგ საგრძნობლად გაიუმჯობესეს ხატურნირო მდგომარეობა და უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთგვარი შანსიც გაუჩნდათ. ეს უფრო დამაჯერებელი გახდებოდა, თუ ამჯერად ისინი გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს — ოდესის „ჩერნომორეცს" სძლევდნენ.

თამაში ცვალებადი უპირატესობით წარიმართა. პირველად სტუმართა კარის საიმედობა ჭოხონელიძემ მოსინჯა. მან საჯარიმოს მისადგომებთან ოსტატურად დაამუშავა ბურთი, მაგრამ სუსტად დაარტყა და ბურთს მეკარე ალტმანი იოლად დაეუფლა. წუთის შემდეგ შეტევაზე უკვე ოდესელები იყვნენ და კავაზაშვილმა შეპელის მეტად სახიფათო ჩაწოდება უვნებელყო. მე-8 წუთზე ბოროვიკოვმა დაუდევრად ითამაშა, ბურთი მიაწოდა მეკარეს მაშინ, როცა მის წინ სილაგაძე იდგა, მაგრამ თავდამსხმელმა იჩქარა და სამიოდე მეტრიდან ბურთი კარს ააცდინა.

თამაში ტაიმის მიწურულს კიდევ უფრო დაიძაბა. 38-ე წუთზე თავის საჯარიმო მოედანში მირონოვი შეცდა, ბურთს დაეუფლა ბუტენკო, რომლის ძლიერი დარტყმა ძელს მოხვდა. ეს იყო გოლის გატანის პირველი და ყველაზე რეალური შესაძლებლობა. მალე ხერხაძემ თავით მეკარის შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი, მაგრამ იგი ოდნავ ასცდა კარს.

მეორე ნახევარი ტორპედოელთა ძლიერი შტურმით დაიწყო, თუმცა ამას კარგა ხანს შედეგი არ მოჰყოლია. და ... აი, 59-ე წუთზე მეკარის პირისპირ გავიდა ხერხაძე, მაგრამ იგი ზუბკოვმა მოცელა. დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რაც კარგად გამოიყენა სილაგაძემ — 1:0.

74-ე წუთზე ხერხაძემ მშვენივრად გაიყვანა გარღვევაზე სილაგაძე, რომელმაც ანგარიში გაზარდა. ამის მერე 5 წუთიც არ იყო გასული, რომ მსაჯმა „ტორპედოს" კარში პენალტი დანიშნა (უხეშად ითამაშა მირონოვმა) და ბუტენკომ შეძლო კავაზაშვილის კარის აღება.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი. კორ.).

* * *

სურათზე: მწვავე მომენტი „ჩერნომორეცის" კართან.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

* * *

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი) — „დინამო" (ლენინგრადი) 5:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:0, „ზვეზდა" (პერმი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „ალგა" (ფრუნზე) 3:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 4:0, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 1:1.

* * *

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფახთაქორი"	27	17	6	4	47—20	40
„ჩერნომორ."	27	15	7	5	51—25	37
„შახტ." (დ.)	27	12	11	4	38—13	35
„ტორპედო"	27	15	4	8	37—20	34
„შინიკი"	27	13	8	6	31—20	34
„ზვეზდა"	28	12	10	6	33—27	34
„კრ. სოვეტ."	27	7	15	5	31—26	29
„პამირი"	27	10	9	8	33—34	29
„სპარტაკი"	26	9	9	8	29—29	27
„შახტ." (ყ.)	28	8	10	10	29—37	26
„ალგა"	28	7	11	10	29—27	25
„სტროიტ."	28	8	8	12	28—43	24
„მეტალურ."	27	8	7	12	33—35	23
„ნისტრუ"	27	7	9	11	27—32	23
„მეტალისტ."	27	7	9	11	24—29	23
„ავტომობ."	27	6	11	10	21—31	23
„ტექსტილ."	26	7	9	10	24—36	23
„კრივბასი"	27	5	9	13	33—49	19
„დინამო"	27	5	9	13	19—39	19
„ურალმაში"	27	3	9	15	19—43	15

3. საფეხბურთო სპექტაკლების კულისებში

(ბათუმი, მახარაძე, სოხუმი)

დღეს გუნდებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მორალურ-აღმზრდელობითს მუშაობას, გუნდების ხელმძღვანელების მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და ფეხბურთელებისადმი.

ბათუმის „დინამოს" კედლის გაზეთში კარიკატურა ვნახეთ. ფეხბურთელები ქიქავა და ქორიძე საფეხბურთო ფედერაციის კომისიის სახით იყვნენ წარმოდგენილი და მოთამაშეთა გადასვლის საკითხს არჩევდნენ. მათს წინაშე თითქოს რიგში დგანან ბათუმელი ფეხბურთელები, რომლებსაც ვითომ ქუთაისის „ტორპედოდან" ბათუმის „დინამოში" სურთ დაბრუნება. ქიქავა და ქორიძე ერთის მხრივ ამბობენ: „ყველა თავის მშობლიურ კოლექტივში უნდა თამაშობდეს", „ყველა თავის ქალაქში უნდა თამაშობდეს", მეორეს მხრივ კი უარს ეუბნებიან რიგში მდგომთ.

ვინ არიან ეს ბათუმელები, რომლებიც ქუთაისის „ტორპედოდან" მშობლიურ ბათუმის „დინამოში" სურთ დაბრუნება? სინამდვილეში ასეთი არავინ არის. მაშ ვინ იგულისხმება? ობიექტი აშკარაა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. რატომ დაიხატა ეს კარიკატურა? აი, რატომ:

თავის დროზე ქორიძემ და ქიქავამ თავად შეიტანეს განცხადებები გადასვლაზე, ოღონდ „ტორპედოდან" „დინამოში" კი არა, პირიქით, „დინამოდან" „ტორპედოში". მერე, კულისებში რაღაც საიდუმლო თათბირის შემდეგ, ორივემ უარყო თავისი განცხადება და „დინამოში" დარჩა. მათი ნებაა.

სამწუხაროდ, ასეთი ისტორიები — ჯერ განცხადებები და მერე ამ განცხადების უარყოფა, ჯერჯერობით გვხვდება და უმეტესად მათი დამწერების ანგარებიანი მოსაზრებებით აიხსნება. ბუნებრივია, ეს ამბავი მხედველობიდან არ გამორჩენია რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას. რა თქმა უნდა, მას უფლება ჰქონდა დაესაჯა ქიქავა და ქორიძე, რომლებიც, თუ შეიძლება ითქვას, ამ გადასვლით დიდ ფასს სდებდნენ საკუთარ თავს. მაგრამ ფედერაცია ასე არ მოიქცა და ბოლოს და ბოლოს ორივე ფეხბურთელს დართო ბათუმის „დინამოში" დარჩენის ნება.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ქიქავას და ქორიძის სამარცხვინო ფოკუსები ამორალური არ იყო? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ქიქავა და ქორიძე სამართლიანობისათვის ბრძოლაში გმირებად უნდა შევრაცხოთ? რასაკვირველია, არა! კარგი გმირები არიან, ჯერ თვითონ დააპირეს გაქცევა და მერე ერთი ამბავი ატეხეს. მშობლიურ კოლექტივში თამაშის საშუალებას არ გვაძლევენო. ყოველ შემთხვევაში, თუკი ბათუმის „დინამოს" მწვრთნელმა ჩაატარა ინსცენირება „ძე შეცთომილის" დაბრუნების თემაზე, მათი ამორალიზმი წმინდა შარავანდედით მაინც არ უნდა შეემოსა.

კარიკატურა ფედერაციის სწორ პოზიციას დასცინის. დასცინის გასაჭირს ქუთაისის „ტორპედოსას", საიდანაც თითქოს ფეხბურთელები გარბიან. სამაგიეროდ, იგი ხოტბას ასხამს ქიქავას და ქორიძეს, თითქოს თავად ისინი არ იყვნენ დამნაშავენი მთელს ამ უსიამოვნო ისტორიაში. არ შეიძლება მორალთან ასე ხუმრობა. ამას არავის აპატიებენ.

გუნდის ხელმძღვანელობამ დაივიწყა ზნეობრივი პრინციპები, ამას კი ბოლოს და ბოლოს არ შეიძლება ცუდი ნაყოფი არ გამოეღო.

22 ივლისს, „მერცხალთან" მატჩში, როცა შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთი იყო დარჩენილი და ბათუმის „დინამო" უკვე იგებდა შეხვედრას ანგარიშით 2:0, გუნდის კაპიტანმა ქიქავამ მინდორზე მსაჯ ერგემლიძეს ჩხუბი აუტეხა, რადგან ამ უკანასკნელმა ბათუმელთა გუნდს მახარაძელთა კარში გატანილი მესამე ბურთი არ ჩაუთვალა. მსაჯმა სრულიად სამართლიანად გააძევა იგი მინდვრიდან. ამაზე უსიამოვნო სურათი ძნელი წარმოსადგენია. რამდენიმე კაცი ექაჩებოდა ქიქავას, რომელიც რაღაც ისტერიკულად გაჰყვიროდა, იგინებოდა და საჩხუბრად მიიწევდა. ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, გუნდის ხელმძღვანელებს ქიქავა ღმერთად რომ არ დაესახათ, რომლისთვისაც კანონები არ დაწერილა.

არავის არა აქვს უფლება, მინდორზე მსაჯებს სასამართლო მოუწყოს. ქიქავას საქციელი მით უფრო უსიამოვნოა, რომ მან თითქმის ნახევარი გუნდი ჩაითრია ჩხუბში, ხოლო პროვოცირებული ტრიბუნებიდან მსაჯებს ათასგვარ სისაძაგლეს აყრიდნენ თავზე.

როგორ მოიქცნენ საზოგადოებისა და გუნდის მესვეურები? იმის მაგიერ, რომ ქიქავასთვის მსაჯის წინაშე ბოდიშის მოხდა დაევალებინათ და თვითონაც ასევე მოქცეულიყვნენ, ამ მატჩის მსაჯობის ხარისხი შესაბამის ინსტანციებში გაასაჩივრეს. გუნდის მეორე მწვრთნელმა კვახაძემ იქვე, მსაჯთა ოთახში, აშკარად დაუჭირა მხარი თავისი მოთამაშის ხულიგნურ საქციელს, თვითონაც შეურაცხყოფდა და ემუქრებოდა მსაჯს. სამწუხაროდ, არც „დინამოს" აჭარის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ურუშაძე აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. იგი თავგამოდებული გულშემატკივრის როლს ასრულებდა და დიდ საყვედურს ამბობდა ბათუმის „დინამოს" ვითომდა დაჩაგვრის გამო.

გუნდის ხელმძღვანელობამ (გუნდის უფროსი კვაჭაძე, უფროსი მწვრთნელი ცირიკი) არ შეასრულა წერილობითი წინადადება, რომ საერთო კრებაზე განეხილა ეს უსიამოვნო შემთხვევა (უპატიებელი მწვრთნელისა და კაპიტნისთვის), გამოეტანა შესაბამისი დასკვნები და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციისთვის ეცნობებინა იგი. ისღა დაგვრჩენია საქვეყნოდ გამოვაცხადოთ ეს ამბავი, რომლის პასუხსაც ალბათ ახლა გაზეთი მიიღებს.

პრინციპულობა და მომთხოვნელობა გუნდში წესრიგის საფუძველია. აბა სცადე და კოლექტივში დისციპლინა აამაღლე, როცა, მაგალითად, სოხუმის „დინამოში" გაცდენები საერთოდ არ აღინიშნება და საწვრთნელ მეცადინეობებზე გამოუცხადებლობისთვის არავითარ საბუთს არ მოითხოვენ. როგორ გამოასწორებ გუნდს, თუ უფროსი მწვრთნელი წინააღმდეგია თამაშის საერთო გარჩევისა? ამბობს: როცა ერთს აქებ სხვების თანდასწრებით, მეორეს კი აძაგებ, ეს ურთიერთსიძულვილს და ინტრიგას გამოიწვევსო.

მაშ როგორ ვასწავლოთ ფეხბურთელებს კრიტიკისა და ქების სწორად გაგება? როგორ სრულვყოთ თამაში და დავძლიოთ ნაკლი, თუ კოლექტიურ მსჯელობას და ანალიზს შევუშინდებით? ჩემი აზრით, ეს შიში გამოწვეულია არა იმდენად პრინციპული მოსაზრებებით, რამდენადაც კაიკაცობის სურვილით.

არა, გუნდში უფრო მეტი წესრიგი უნდა იყოს. 22 ივლისის თამაშის შემდეგ ტურებს შორის გუნდს 10 დღე ჰქონდა. როგორ გამოიყენეს ეს დრო? პირველი ორგანიზებული საწვრთნელი მეცადინეობა უფროსმა მწვრთნელმა მხოლოდ 29 ივლისს ჩაატარა. ესე იგი, ოქროს დღეები გააცდინეს. მართალია, რამდენიმე ფეხბურთელმა მოიყარა თავი 26, 27, 28 ივლისს, მაგრამ ეს „თვითმოქმედი" საწვრთნელი მეცადინეობა უმწვრთნელოდ ნამდვილი ანარქია იყო მინდორზე. მოვიდა ის, ვისაც უნდოდა, მეცადინეობდნენ, რაშიც უნდოდათ. გარეშე ხალხიც იყო.

როგორც ჩანს, სოხუმის „დინამოს" სერიოზული მკურნალობა სჭირდება. და ეს მკურნალობა გუნდში, მის ხელმძღვანელობაში დისციპლინის განმტკიცებით უნდა დავიწყოთ.

ბათუმის „დინამოს" პრაქტიკაში, რამდენ სამწუხაროც უნდა იყოს ეს, კიდევ ერთ არასასურველ ფაქტს წავაწყდით: ყურადღება არ ექცევა კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობას.

ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ეს. ფეხბურთელები ხომ ზნეობრივადაც უნდა აღვზარდოთ, პოლიტიკურადაც. ჩვენი ვალია მათი სულიერი საგანძურის გამდიდრება, ცოდნის წყურვილის გაღვივება. დასასრულ, ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ მათს კულტურულ დასვენებაზე, განსაკუთრებით, სასწავლო და წინასათამაშო შეკრებების დროს.

ავიღოთ, მაგალითად, გაზეთები. გუნდის ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ ყოველი ფეხბურთელი ვალდებულია თავად გამოიწეროს გაზეთები და იწეროს კიდეც. მაგრამ ასე გამოწერილი ხომ შინ მიუვა, ბინის მისამართით. შეკრებაზე? ხომ უნდა იყოს ერთი წყნარი კუთხე, სადაც ფეხბურთელებს მოცალეობის დროს კითხვის, ჭადრაკისა და შაშის თამაშის საშუალება ექნებათ, სადაც აგიტაციის თვალსაჩინო საშუალებები იქნება გამოყენებული, სადაც მუსიკას მოუსმენენ, ტელეგადაცემებს ნახავენ...

ვთქვათ, ჟურნალ-გაზეთებს ფეხბურთელები თავადაც იყიდიან. ვთქვათ, ეს კულტურის კუთხეც თანხის დაუხარჯავად მოეწყო. ხომ არის კულტურული მომსახურების რაღაც სხვა ფორმები, სადაც მინიმალური თანხის გაღება მაინც საჭიროა? ვთქვათ, კინოსეანსები შეკრების დროს. რა, ფეხბურთელები ფულს თავისი ჯიბიდან დადებენ და კინოსურათს იქირავებენ? ახლა ლექციები, კოლექტიური ექსკურსიები სხვა ქალაქებში, მუზეუმებში?

გუნდში ყოველივე ამას დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს. სხვაგვარად მოქცევა ნამდვილი ობსკურანტიზმია, დაუშვებელი და მიუღებელი ჩვენს პრაქტიკაში.

აბა სცადე და გუნდის ხელმძღვანელებს ჰკითხე, რატომ არ აქცევენ ყურადღებას კოლექტივში კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას. მყისვე თავს გაიმართლებენ: სახსრებს არ გვაძლევენო.

რა სახსრებია საჭირო? კაპიკები. და როცა ეს კაპიკები მართლა არ შეაქვთ ხარჯთაღრიცხვაში, გუნდის ხელმძღვანელები დიდი სიხარულით იბანენ ხელს ამ უაღრესად საჭირო საქმეში.

ვინ აკრძალა, ვინ არ იძლევა უფლებას, რომ ხარჯთაღრიცხვებში თუნდაც სიმბოლურად, თუნდაც რამდენიმე მანეთი, გაითვალისწინონ კულტურული ღონისძიებებისთვის? ფაქტიურად, ვინ კრძალავს გუნდებში კულტურულ მუშაობას?

დინამოელთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი აჭარაში გ. ურუშაძე და „დინამოს" ბუღალტრები გვარწმუნებენ, რომ II ლიგის გუნდებში ასეთ ხარჯებს „დინამოს" ცენტრალური საბჭო სასტიკად კრძალავს. იმასაც გვიმტკიცებენ, რომ სახელდობრ ეს სტატია იქცევს ხოლმე საკონტროლო ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას.

მაშასადამე, ასე გამოდის: უმაღლესი და I ლიგის გუნდებში კულტურული მუშაობა საჭიროა, II ლიგაში კი არა! მაგრამ ლიგებს შორის განსხვავება სწორედ ამ საკითხში არ უნდა იყოს. ეს ბიუროკრატების თავის მართლებაა. ამ გულგრილობას შეუპოვრად უნდა ვებრძოლეთ.

ვ. მდივანი,

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრი.

რაიონებში [illegible]

გურჯაანი

კავშირგაბმულობის მე-9 საექსპლოატაციო ტექნიკურ კვანძში ამას წინათ გაიმართა შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში და მაგიდის ჩოგბურთში. ეს ტურნირები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ორდღიან ბრძოლაში გაიმარჯვეს: ჭადრაკში — რადიოფიკაციის ინჟინერმა ქ. კუნელიანმა, შაშში — ტექნიკოსმა თ. თევდორაშვილმა, მაგიდის ჩოგბურთში — ინჟინერმა თ. ჩირიკაშვილმა.

ნ. აკოფოვი,

კავშირგაბმულობის მე-9 საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძის კადრების ინსპექტორი.

ვეტერანები მაგალითს იძლევიან

ამ დღეებში თელავის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩაატარა ფიზკულტურის მუშაკთა თათბირი. დღის წესრიგში იდგა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიმდინარეობის საკითხი.

თათბირზე ითქვა, რომ ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი ფიზკულტურის კოლექტივები, სადაც ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

„კოლმეურნის" რაისაბჭომ სიახლე დანერგა: მინდვრად, ბრიგადებში შესვენებისას ტარდება საუბრები კომპლექსის მნიშვნელობაზე. კოლმეურნეები სათანადო წვრთნის შემდეგ იქვე აბარებენ ნორმატივებს სხვადასხვა სახეობაში.

თათბირზე ისიც აღინიშნა, რომ თელავს არ გააჩნია საცურაო აუზი. შემდეგ ამ ძნელი მდგომარეობიდან გამოსავალიც ნახეს: მდინარე ალაზანზე ფიზკულტურელებმა მოხერხებული ადგილი გამონახეს და წყალი დააგუბეს. სტარტზე პირველნი ფიზკულტურის მუშაკები გამოვიდნენ. 50-ზე მეტმა კაცმა ჩააბარა ნორმატივები ცურვაში ოქროს და ვერცხლის ნიშნებზე. ამ მხრივ ვეტერანმა ფიზკულტურელებმა გ. თვალიაშვილმა, დ. მარკოზაშვილმა, გ. კიკვიძემ, დ. დარჩიაშვილმა, გ. გაგნიძემ და ა. კაპანაძემ ისახელეს თავი.

ს. ოხანაშვილი.

თელავი. (ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული სექტემბერი

სექტემბერი XX ოლიმპიური თამაშების თვეა და, ცხადია, მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ შესანიშნავი ზეიმისკენაა მიპყრობილი. მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი რიგითა და წესით მიდის: სექტემბერი ბევრი სხვა მნიშვნელოვანი შეჯიბრებითაც აღინიშნება, რომელთა შორის უმთავრესს გთავაზობთ მკითხველებს.

ბადმინტონი

19-22. სსრ კავშირის თასი (ტალინი).

ველოსპორტი (გზატკეცილი)

22-26. სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა (ოდესა).

29 IX-3 X. სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი კროსში (ბელგია).

30 IX-12 X. სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლაში (იმიერკარპატეთი).

თანამედროვე ხუთჭიდი

23-27. სსრ კავშირის ჩემპიონატი (თბილისი).

23-27. იუნიორთა მსოფლიო პირველობა (საფრანგეთი).

ვოლეიბოლი

16-20. ევროპის თასი (საფრანგეთი).

ვოლეისპორტი

24. მსოფლიო ჩემპიონატი წიდოვან ბილიარდზე რბოლაში. გუნდური შეჯიბრება. ფინალი (გფრ).

მუშაობლისნობა

16-19. იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი (ალუშტა).

მხატვრული ტანვარჯიში

26-28. სსრ კავშირის თასი და ჩემპიონატი ჯგუფურ ვარჯიშებში (ალმა-ათა).

საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე

8-10. სსრ კავშირის ჩემპიონატი არაოლიმპიურ სახეობებში (ტოლიატი).

საშთოსათხილამურო სპორტი

22-25. საერთაშორისო შეჯიბრება ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში (ბუდაპეშტი).

30 IX-1 X. საკავშირო შეჯიბრება ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ხტომები და ორჭიდი (ალმა-ათა).

ბუვიის სროლა

14-17. იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი (შვეცია).

ფეხბურთი

13. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „ვაკერი“ (ინსბრუკი) — „დინამო“ (კიევი). ავსტრია.

13. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ადო (ჰააგა). მოსკოვი.

13. უეფა-ს თასი. „დინამო“ (თბილისი) — „ტვენტე“ (ენსხედე). თბილისი; ეპა (ლარნაკა) — „არარატი“ (ერევანი). კიპროსი.

27. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „დინამო“ (კიევი) — „ვაკერი“ (ინსპრუკი). კიევი.

27. ევროპის ქვეყნების თასების ფლობელთა თასი. ადო (ჰააგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვი). ჰოლანდია.

27. უეფა-ს თასი. „ტვენტე“ (ენსხედე) — „დინამო“ (თბილისი). ჰოლანდია; „არარატი“ (ერევანი) — ეპა (ლარნაკა). ერევანი.

ჩოგბურთი

15-24. სსრ კავშირის ჩემპიონატი (დონეცკი).

ყუალჭვეშა სპორტი

18-22. ევროპის ჩემპიონატი ორიენტირებაში (ჰოლანდია).

ბადრაკი

17 IX-12 X. ვაჟთა XX ოლიმპიადა (იუგოსლავია).

25 IX-12 X. ქალთა V ოლიმპიადა (იუგოსლავია).

ჰოკეი

22-28. სსრ კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების მატჩები (სსრ კავშირი).

მრჩველია რაინდული ღირსებები

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილე თანამედროვე ხუთჭიდელებმა ცხენოსნობაში გადახარჯული ერთი დღე ერთბაშად ორ სახეობაში ასპარეზობით ჭინაზღაურეს — დილით ავჯალის სასროლეთს ეწვივნენ, საღამოს კი „ლოკომოტივის“ საცურაო აუზს.

ამ სახეობებში შეჯიბრებებს ლიდერთა პოზიციები არ შეუცვლია. ოღონდ ჩვენმა დინამოელებმა უსვირფოდ ისროლეს და დაწინაურებულ ლიტველებთან სხვაობა 100 ქულიდან 300-მდე გაიზარდა. სროლაში კვლავ უბადლო იყო ესტონელი ხ. შტორკი. იგი დინჯად დამაჯერებლად გამოდიოდა ცეცხლის ხაზზე. შედეგიც ხასიათის სიმტკიცის შესაფერისი დაიმახსოვრა: ოთხივე სერიაში 49-49 ქულა მოიპოვა 50-დან.

ყოველმა ხუთჭიდელმა კარგად იცის, რომ განსაკუთრებით ცურვასა და მძლეოსნურ კროსში საკუთარი თავის გაჭირვებისა შეტოკი: სპორტსმენმა შინაგან ბრძოლაში უნდა გადალახოს თავისი შესაძლებლობის ზღვარი. ეს ამოცანა ცურვაში წარმატებით შეასრულა ზ. ქაჯაიამ. მან ერთბაშად 8 წამით გაუმჯობესა პირადი მიღწევა და ლიდერთა ჯგუფში დამკვიდრებული ადგილი განიმტკიცა.

როგორც მწვრთნელები ვარაუდობდნენ, ჩვენი გუნდის ახალბედა წევრმა ი. ბოროდინმა ამ სახეობაში შესანიშნავად იასპარეზა. იგი ცურვიდან მოვიდა ხუთჭიდში, ამიტომაც ჯერჯერობით ყველაზე კარგად ცისფერ ბილიკებზე გამოდის. ბოროდინმა მეტად საჭირო 1016 ქულა მოუტანა გუნდს.

ლისის ტბის მიდამოებში ოთხკილომეტრიანი მძლეოსნური კროსი პირქარმა მეტისმეტად გაართულა. სპორტსმენებს უჭირდათ, მაგრამ ძალ-ღონე არავის დაუზოგავს. სწორედ ამ შეუპოვრობამ გაამწვავა ჩემპიონატის პრიზიორთა საკითხის გადაწყვეტა. ქაჯაიამ ხუთივე სახეობის ჯამში 4589 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ III ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა, ლიტველი რ. ვაიტკუსი კი, რომელიც ოთხი სახეობის შემდეგ II ადგილზე იყო, ქაჯაიას 13 ქულით ჩამორჩა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

4962 ქულით ჩემპიონობა შტორკს ხვდა. ეს სპორტსმენი მძლეოსნურ კროსში პირველ ათეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ მანამდე მოპოვებული ქულათა მარაგის წყალობით სამატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

— ვინ გირჩიათ თანამედროვე ხუთჭიდთან დამეგობრება?

— თვით ამ სახეობის რაინდულმა ღირსებებმა, — გვიპასუხა ახალმა ჩემპიონმა, როცა ეს პირველი დიდი წარმატება მივულოცეთ.

მძლეოსნობამ გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა მოუტანა საქართველოს ნაკრებს — 13131 ქულა. II ადგილი ლიტველებს დარჩათ — 13046, III — რსფსრ-ს დინამოელებს — 12516.

უნდა აღინიშნოს ჩემპიონატის ჩატარებული ორგანიზაცია (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. როგავა).

— კარგა ხანია მსგავსი ღონისძიება

თანამედროვე ხუთჭიდი

ასე დინამიურად და ლამაზად არ ჩატარებულა. მადლობა ქართველ მეკობრებს, — თქვა ასპარეზობის საზეიმო დახურვაზე „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს სპორტის გამოყენებითი სახეობების განყოფილების გამგის მოადგილემ ი. ოსტროვსკიმ.

თ. ბაჩეჩილაძე.

* * *

სურათზე: „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი — თბილისის გუნდი. მარცხნიდან: ი. ბოროდინი, ა. მაროტი, ვ. ქალინინი, ნ. ჭაჯაია.

ავტორის ფოტო.

* * *

ტექნიკური შედეგები

სროლა. პირადი. 1. შტორკი — 1044 ქულა, 2. ნ. მორო (უკრაინა) — 1000, 3. გ. ბრუჩაკი (ლიტვა) — 1000... 13. ვ. კალინინი — 912... 21. ა. მაროტი — 890... 22. ბოროდინი — 846... 31. ჭაჯაია — 824. გუნდური. 1-2. უკრაინა, რსფსრ — 2890-2890, 3-4. მოსკოვი, ლიტვა — 2846-2846... 7. საქართველო — 2648.

ცურვა. პირადი. 1. ვ. სელენცევი (ბელორუსია) — 1100, 2. ბოროდინი — 1016. 3. ა. ბიზიაევი (მოსკოვი) — 1008... 9. ჭაჯაია — 968... 12. მაროტი — 932... 17. კალინინი — 904. გუნდური. ბელორუსია — 3080, 2. საქართველო — 2916, 3. მოსკოვი — 2904.

მძლეოსნური კროსი. პირადი. 1. ა. მორია (უკრაინა) — 1079, 2. გ. იურასოვი (რსფსრ) — 1069, 3. ა. შევჩუკი (უკრაინა) — 1024... 5. კალინინი — 1009, 6. მაროტი — 1003... 25. ჭაჯაია — 898... 31. ბოროდინი — 838. გუნდური. 1. უკრაინა — 3090, 2-3. მოსკოვი, რსფსრ — 2488-2488... 5. საქართველო — 2910.



ფიშერი უპირისპირდება ...ფიდე-ს

საშაჩრაკო სამყაროში ამას წინათ გახმაურდა მსოფლიო ჩემპიონის რ. ფიშერის ვექილის პ. მარშალის შემდეგი განცხადება: „ფიშერი წლეულსვე იწვევს სპასკის მატჩ-რევანშის სათამაშოდ ქალაქ ლას-ვეგასში“. ამ განცხადებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

იქნებ ზოგიერთმა მიამიტად იკითხოს: მერე რა მოხდა, მატჩ-რევანში რომ შედგესო? თითქოს არაფერი. სინამდვილეში იგი ძირს გამოუთხრის ფიდე-ს დამკვიდრებულ მსოფლიო პირველობის გათამაშების სამართლიან და ობიექტურ სისტემას, რომლის მიხედვითაც დედამიწის უძლიერესი დიდოსტატები სამი წლის მანძილზე ეპაექრებიან ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის უფლებისთვის. საბოლოოდ გამარჯვებული ჰადრაკის მეფეს ხვდება. ალბათ გახსოვთ: 1962 წელს ფიდე-მ გააუქმა მატჩ-რევანშზე მსოფლიო ჩემპიონის უფლება.

ფიშერს ეს სისტემა არ მოსწონს — ძალიან გაჭიანურებულიაო. მას ყოველ წელიწადს სურს თამაში. თანაც მეტოქეს თავისი შეხედულებისამებრ აირჩევს. სწორედ ასე იყო 1947 წლამდე. უფრო ხშირად მსოფლიო ჩემპიონი შედარებით სუსტ მეტოქეს ირჩევდა. მაგალითად, ე. ლასკერმა თავი აარიდა მატჩს შემოქმედებითს ზენიტში მყოფ ა. რუბინშტეინთან, ა. ალიოხინი არ ეთამაშა ხ. კაპაბლანკას მატჩ-რევანშში, არც ბეშმარიტ პრეტენდენტს ა. ნიმცოვიჩს შეხვდა — მეტოქედ დიდოსტატი ე. ჰოლანდია; „არარატი“ (ერევანი) — ეპა (ლარნაკა). ერევანი.

ჩოგბურთი

15-24. სსრ კავშირის ჩემპიონატი (დონეცკი).

ყუალჭვეშა სპორტი

18-22. ევროპის ჩემპიონატი ორიენტირებაში (ჰოლანდია).

ბადრაკი

17 IX-12 X. ვაჟთა XX ოლიმპიადა (იუგოსლავია).

25 IX-12 X. ქალთა V ოლიმპიადა (იუგოსლავია).

ჰოკეი

22-28. სსრ კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების მატჩები (სსრ კავშირი).

ბოგოლიუბოვი ამჯობინა, თანაც მასთან ორი მატჩი ითამაშა. ყოველივე ამას ბოლო მოუღო ფიდე-მ, როცა ა. ალიოხინის გარდაცვალების (1946 წ.) შემდეგ მსოფლიოს პირველობის გათამაშების უფლება თავად დაეპატრონა.

მსოფლიოს ახალი ჩემპიონის „რეფორმა“ საშაჩრაკო წრეებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ფიდე-ც სერიოზულად შეშფოთებულია ფიშერის მოთხოვნით. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე მწვავე პოლემიკაა მოსალოდნელი ფიდე-ს 42-ე კონგრესზე, რომელიც XX საშაჩრაკო ოლიმპიადის დღეებში (სექტემბრის დამლევს) სკოპლეში გაიმართება.

ფიდე და მისი პრეზიდენტი, დოქტორი მ. ეუე მუდამ ითვალისწინებდნენ ფიშერის მოთხოვნებს. მაგალითად, 1962 წელს, როცა ამერიკელმა მოჭადრაკემ პრეტენდენტთა ტურნირი უსამართლოდ მიიჩნია, ფიდე-მ პრეტენდენტთა მატჩები შემოიღო. ისევ ფიშერის წინადადებით 1970 წელს ფიდე-მ შეცვალა პრეტენდენტთა მატჩების გათამაშების წესი, როცა თამაში პარტიების გარკვეული რაოდენობით მოგებამდე განსაზღვრა. თვით სპასკისთან მატჩისწინა დახლართულ ამბებში ფიდე-ს პრეზიდენტი ამერიკელის მხარეზე იყო, ოღონდ შემდგარიყო ეს ისტორიული მატჩი. ახლა ფიდე ნამდვილად აღარ დააკმაყოფილებს ფიშერის მოთხოვნას. ამ აზრისაა ფიდე-ს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ბ. კაუჩი (იუგოსლავია), რომელიც გაზეთ „სპორტში“ (ბელგრადი) შენიშნავს, კონგრესმენები მსოფლიო პირველობის გათამაშების არსებული სისტემის დარღვევის წინააღმდეგი იქნებიანო.

სკოპლეში ფიშერსაც ელიან. პ. მარშალის სიტყვით, მსოფლიოს ჩემპიონი ითამაშებს ოლიმპიადაში და, ცხადია, ფიდე-ს კონგრესსაც დაესწრება.

თ. ბიორნბაძე.

რედაქტორი მ. ჯაჯანიძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 9 სექტემბერი. „ისნის“ სტადიონი. „ისანი“ (თბილისი)—„სამცხე“ (ახურა). დასაწყისი 17 ს. 10 სექტემბერი. აეროპორტის სტადიონი. „შევარდენი“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი). 17 ს.

ინდექს 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ბეჭდვის დღეების ჯ. № 14.

ფე 02631